



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY

წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 6

„17” 10

2022წ

დადგენილება № 30

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების სალომე ბოლქვაძის და ვარდუი კურგინიანის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/8 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აკადემიური ურთიერთობის შეწყვეტის (საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების) გამო წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდეთ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს სალომე ბოლქვაძეს და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტს ვარდუი კურგინიანს
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტს.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე